ABOUT BEING BLESSED AS A KING IN 11TH CENTURY GEORGIA

მეფედ კურთხევის შესახებ XI საუკუნის საქართველოში

Mikheil Bakhtadze
Doctor of History, associate professor of
Tbilisi State University
OCRID ID: 0000-0002-3623-9924
+995 593 31 23 81; Mikheil.bakhtadze@tsu.ge

Abstract

In the year 978 Bagrat, the son of Gurgen Bagration, King Bagrat III in the future, was consecrated as the "King of Abkhazia" in Kutaisi. In the year 1001 Bagrat III received the title of "King of Georgians". In our opinion, the ceremony of consecration as a king existed both in The Kingdom of Abkhazia and in The Kingdom of Georgia. Therefore, we do think, it is completely permissible to bless Bagrat III twice, in the year 978 as the "King of Abkhazia" and in the year 1001 as the "King of Georgians". Perhaps after the final joining of Kakheti and Hereti, as parts of Georgian Kingdom, in the year 1010, Bagrat III was once again blessed as king, and this time with the title "King of Abkhazians and Georgians, Tao and Rantians and Kakhetians".

After Bagrat III, the consecration of George I and Bagrat IV as the Kings several times did not happen again. The situation is changing with regard to George

II. When King Bagrat IV went to Byzantium in the year 1054, Georg II was consecrated as a king in Ruisi, on the initiative of Liparit Bagvashi.

The consecration of George II in Ruisi was unusual and not very pleasant for the Bagrations. Probably, Georg II did not like to remember this ceremony of consecration as the king and tried to forget it. Georg II tried to forget this fact not only himself, but this fact should be forgotten by the society, primarily the feudal elite. Therefore, we do think that after the death of Bagrat IV in the year 1072, George II should have been re-consecrated as king in Kutaisi, in the Bagrat Cathedral.

It is likely that the tradition of twice consecrating as the kings was laid from the consecration of Georg in Kutaisi II in the year 1072.

Key words: Georgia, King Bagrat III, Being blessed as a king, King of Abkhazians and Georgians, Georg II.

მიხეილ ბახტაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
OCRID ID: 0000-0002-3623-9924
+995 593 31 23 81; mikheil.bakhtadze@tsu.ge

აბსტრაქტი

978 წელს ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონი, მომავალი მეფე ბაგრატ III, ქუთაისში „აფხაზთა მეფედ“ აკურთხეს. 1001 წელს ბაგრატ III-მ „ქართველთა მეფის“ ტიტულიც მიიღო. ჩვენი აზრით, აფხაზთა სამეფოშიც და ქართველთა სამეფოშიც იარსებებდა მეფედ კურთხევის ცერემონიალი. ამიტომ ბაგრატ III-ის ორჯერ კურთხევა, 978 წელს აფხაზთა მეფედ და 1001 წელს ქართველთა მეფედ სრულიად დასაშვები გვგონია. შესაძლოა კახეთისა და ჰერეთის საბოლოოდ შემოერთების შემდეგ, 1010 წელს, ბაგრატ III კიდევ ერთხელ ეკურთხა მეფედ, ოღონდ ამჯერად ტიტულით „აფხაზთა და ქართველთა მეფეი, ტაოჲსა და რანთა, კახთა“.

ბაგრატ III-ის შემდეგ გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ის რამდენჯერმე მეფედ კურთხევა სავარაუდოდ აღარ მოხდებოდა. სიტუაცია იცვლება გიორგი II-სთან დაკავშირებით. როდესაც 1054 წელს მეფე ბაგრატ IV ბიზანტიაში წავიდა, გიორგი II რუისში მეფედ აკურთხეს ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით.

გიორგი II-ის რუისში კურთხევა არაორდინალური იყო და არც თუ სასიამოვნო ბაგრატიონთათვის. სავარაუდოდ გიორგი II-ს არ სიამოვნებდა მეფედ კურთხევის ამ ცერემონიალის გახსენება და ცდილობდა დაევიწყებინა. ცდილობდა დაევიწყებინა არა მხოლოდ თავად, არამედ უნდა „დაევიწყებინა“ საზოგადოებასაც, ფეოდალურ ელიტას პირველ რიგში. ამიტომ ვფიქრობ, რომ 1072 წელს ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ გიორგი II ხელახლა უნდა ეკურთხებინათ მეფედ ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში.

სავარაუდოდ გიორგი II-ის 1072 წელს ქუთაისში ხელმეორედ მეფედ კურთხევიდან ჩაეყარა საფუძველი ორჯერ მეფედ კურთხევის ტრადიციას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ბაგრატ III, მეფედ კურთხევა, მეფე აფხაზთა, ქართველთა მეფე, გიორგი II, ხელმეორედ კურთხევა.

შესავალი

X საუკუნის ბოლოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულების ურთიერთბრძოლა, რომელიც ამავე დროს ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის პროცესიც იყო, ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა. 975 წელს, ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის ინიციატივითა და ტაოს მმართველის, დავით კურაპალატის აქტიური მონაწილეობით, ქართლის მმართველად დადგინდა ბაგრატ გურგენის ძე, მომავალი მეფე ბაგრატ III. ისტორიის ლოგიკამ თუ განგებამ, სწორედ ბაგრატ III-ს არგუნა გამხდარიყო ერთიანი ქართული სამეფოს შემქმნელი და მისი პირველი მეფე.

მეთოდი

კვლევა ეფუძნება დოკუმენტების შინაარსობრივი ანალიზისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდს, ასევე ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებას და განზოგადებას.

შედეგები

ჩვენი აზრით, ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III სამჯერ ეკურთხა მეფედ. 978 წელს ქუთაისში ტახტზე ასვლისას მოხდა მისი პირველი კურთხევა როგროც აფხაზთა მეფისა. 1001 წელს ის მეორედ ეკურთხა მეფედ უკვე, როგორც ქართველთა სამეფოს მონარქი. 1010 წელს კი კახეთისა და ჰერეთის შემოერთების შემდეგ ის მესამედ უნდა ეკურთხებინათ, ამჯერად როგორც გაერთიანებული სამეფოს მეფე ტიტულით „აფხაზთა და ქართველთა მეფეᲲ, ტაოᲲსა და რანთა, კახთა“. გიორგი I და ბაგრატ IV უკვე მხოლოდ ერთხელ ეკურთხებოდნენ მეფედ. გიორგი II კი, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ორჯერ ეკურთხა მეფედ, 1054 და 1072 წლებში.

მსჯელობა

975 წელს აფხაზთა მეფის მიერ ქართლის ერისთავად დადგენილმა იოანე მარუშის-ძემ იხილა რა უფლისციხეს გარსმომდგარი კახეთის საქორეპისკოპოსოს ლაშქარი, „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა; აწჳა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თჳთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულისწულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელ/სა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშის-ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ და ვითარცა მოისმინა დავით კურაპალატმან სიტყუა ივანე მარუშის-ძისა, წარმოემართა ძალითა თჳსითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად. და რაჟამს ცნეს მოსლვა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი ... დაუტევნა უფლისციხეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას ჟამსა იყო ბაგრატ ჯერეთ ასაკითა თჳსითა უსრულ, ამისთჳს თანა-განმგებელად დაუტევა მამა მისი გურგენ. შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: “ესე არს მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანა-შემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი” და დაყვნა დღენი მცირედნი და წარვიდა ტაოს.“ (მატიანე ქართლისა. 2008: 267) მართალია ქართლის ნომინალური მმართველი ბაგრატ გურგენის ძე გახდა, მაგრამ ამ დროს მას არავითარი ტიტული არ მიუღია. ვფიქრობ არც რაიმე ცერემონიალი არ ჩატარებულა, რაც შეიძლება „მმართველად კურთხევად“ მივიჩნიოთ. თუ არ ჩავთვლით ქართლის აზნაურების შეკრებას და მათთვის ბაგრატ გურგენის ძის წარდგენას (მისცეს თუ არა ფეოდალებმა ბაგრატ გურგენის ძეს ერთგულების ფიცი, ძნელი სათქმელია. ალბათ, არა. ქართლის ფეოდალები ხომ, ფორმალურად მაინც, ქუთაისში ტახტზე მჯდომი აფხაზთა მეფის თეოდოსი III-ის ქვეშევრდომები იყვნენ.

978 წელს „ამანვე ივანე მარუშის-ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და

აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისგან. ხოლო მან დიდითა იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი“ (მატიანე ქართლისა. 2008: 268). ბაგრატ III ქუთაისში აფხაზთა მეფედ აკურთხეს. ამას ადასტურებს მატიანეში დაცული ცნობა, რომ „შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა“ (მატიანე ქართლისა. 2008: 269). ბუნებრივია აფხაზთა სამეფოში არსებობდა მეფედ კურთხევის გარკვეული რიტუალი, რომელსაც უნდა გულისხმობდეს მემატიანის სიტყვები „დალოცეს მეფედ“. კონკრეტულად როგორ ტარდებოდა ეს „დალოცვა“, იყო თუ არა უკვე მირონის ცხება, ვინ მონაწილეობდნენ, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფეოდალთა მიერ მეფისადმი ერთგულების ფიცის მიცემით თუ არა (ალბათ არა), ესენი და ასევე სხვა საკითხები ძალიან საინტერესოა მაგრამ, ამჯერად ჩვენი კვლევის ფარგლებს სცდება.

ამრიგად, ბაგრატ გურგენის ძის ქუთაისში აფხაზთა სამეფოს ტახტზე ასვლისას ჩატარდებოდა რიტუალი „მეფედ დალოცვა“, რომელსაც ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია მეფედ კურთხევა ვუწოდოთ. მღვდელმთავართაგან უმთავრესი ალბათ ან ქუთათელი ეპისკოპოსი იყო, ან აფხაზთა კათოლიკოსი.

როგორც ცნობილი, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ 1001 წელს ბაგრატ III-მ ქართველთა მეფის ტიტულიც მიიღო (ბახტაძე,2019: 67). ძალიან საინტერესოა, მოხდა თუ არა მის საზეიმოდ კურთხევა ამჯერად უკვე სამხრეთ საქართველოში ახალი ტიტულის „ქართველთა მეფის“ მიღების გამო?

ქართველთა სამეფო აფხაზთა სამეფოსგან განსხვავებით შედარებით დეცენტრალიზებული იყო და ყველა ბაგრატიონი საკუთარ სამფლობელოს ბატონ-პატრონად მიიჩნეოდა. მკაცრი იერარქიული დაქვემდებარება არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, სამეფოს ყავდა ნომინალური მეთაური ქართველთა მეფე. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართველთა სამეფოში ტახტზე ახალი მეფის ასვლისას გარკვეული რიტუალი ტარდებოდა. 958 წელს, მაგალითად, როდესაც ბაგრატ II გახდა ქართველთა მეფე, რაღაც რიტუალი შესრულდებოდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, კონკრეტულად რა სახის და რა რიტუალები ტარდებოდა იმ დროს არსებულ ქართულ სამეფოსამთავროებში, უცნობიცაა და არც წარმოადგენს ამჟამად ჩვენს ინტერესს, მაგრამ რაღაც რიტუალი რომ იარსებებდა, ამაში დარწმუნებული ვართ.

ჩვენი აზრით, ცხადია, რომ აფხაზთა სამეფოშიც და ქართველთა სამეფოშიც იარსებებდა მეფედ კურთხევის ცერემონიალი. მეფედ კურთხევაში ვგულისხმობთ იმ რიტუალებს, რომლებიც ტარდებოდა ამა თუ იმ სამეფოში (მათ შორის ჰერეთის სამეფოსა და კახეთის საქორეპისკოპოშიც) ტახტზე ახალი მეფის (ქორეპისკოპოსის) ასვლისას.

აქ არის მთავარი კითხვა. ერთხელ ქუთაისში მეფედ კურთხეული ბაგრატ III აკურთხეს თუ არა მეორედ უკვე ქართველთა მეფედ? ჩვენ ვთვლით რომ დიახ. ბაგრატ III მეორედაც აკურთხეს, ამჯერად უკვე როგორც„ ქართველთა მეფე“. სად მოხდა ეს ძნელი სათქმელია.

შეიძლება კი რამდენჯერმე მეფედ კურთხევა ერთი და იგივე პიროვნების? მსგავსი მაგალითები არსებობს ევროპის ისტორიაში. პიპინ მოკლე სუასონში 751 წელს ფრანკთა მეფედ აკურთხა მაინცის ეპისკოპოსმა ბონიფაციუსმა და 754 წელს უკვე რომის პაპმა სტეფანე II-მ სენდენიში (Успенский, 2000: 6). მისი ვაჟი და ფრანკთა იმპერიის შემქმნელი კარლოს დიდი 754 წელს მამასთან ერთად აკურთხეს ფრანკთა მეფედ, 768 წელს ძმასთან კარლონმანთან ერთად და 771 წელს კიდევ ერთხელ, კარლომანის გარდაცვალების შემდეგ (Успенский, 2000: 13, 18) (ყველა ამ შემთხვევაში ხდებოდა მეფის „ცხება“. არა მირონით, მაგრამ მაინც. მაგალითად ელით „de oleo exorciazato“). 800 წელს რომ რომში პაპმა ლეო III-ემ რომ იმპერატორად აკურთხა ეს კიდევ ცალკეა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ბაგრატ III-ის ორჯერ კურთხევა, 978 წელს აფხაზთა მეფედ და 1001 წელს ქართველთა მეფედ სრულიად დასაშვები გვგონია. რა მოხდა უკვე კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ, შედარებით რთული აღსადგენია, თუმცა გარკვეულ ვარაუდს მაინც გამოვთქვამთ.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ კახეთ-ჰერეთის შემოერთება განსხვავებულ ვითარებაში მოხდა. ეს მხარე მას მემკვიდრეობით არ ეკუთვნოდა და თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ პოლიტიკური ერთეულების ლეგიტიმური მემკვიდრე არ იყო. კახეთისა და ჰერეთის შემოსაერთებლად ბაგრატ III-ს რამდენიმეწლიანი ბრძოლა დასჭირდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრებაა იმასთან დაკავშირებით თუ როდის შემოიერთა ბაგრატ III-მ კახეთი და ჰერეთი. მ. ლორთქიფანიძის აზრით, ეს 1008-1010 წლებში მოხდა (ლორთქიფანიძე, 1973: 159). თ. პაპუაშვილის აზრით, 1009 წელს გამეფებული კვირიკე III ბაგრატმა დაატყვევა 1011 წელს (პაპუაშვილი, 1982: 218). ჯ. სტეფნაძე თვლიდა, რომ ბაგრატ მეფე 1008 წელს იღებს ქართველთა მეფის ტიტულს, ხოლო 1008-1010 წლებში იგი ხდება „კახთა და რანთა მეფე“ (სტეფნაძე, 1976: 157). ნიკო ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ბაგრატ მეფემ კვირიკე შეიპყრო 1011 წელს (ბერძენიშვილი, 1967: 235, 245). ჯ. სამუშიას აზრით, 1003 წელს ბაგრატმა კახეთი მოარბია (იზიარებს ვალერი სილოგავას მოსაზრებას), მაგრამ „რეალური შედეგით ეს ლაშქრობა არ დასრულებულა.“ 1008 წელს მეფე იკავებს ჰერეთს, რომლის ტახტიც უმემკვიდრეოდ არის დარჩენილი. კახეთში კი ამ დროს იმიტომ ლაშქრობს, რომ ეს სამეფო გაენეიტრალებინა. კახეთ-ჰერეთის საბოლოო შემოერთების მესამე ეტაპი კი 1009-1011 წლებში ხდება. „ბოჭორმის ციხე-სიმაგრემ რამდენიმეთვიან ალყას ბოლოს და ბოლოს, ვერ გაუძლო და დაეცა. კვირიკე კახთა მეფე იძულებული გახდა ბაგრატ III-ს ჩაბარებოდა. „აფხაზთა და ქართველთა“ და აწ უკვე „რანთა და კახთა“ მეფემ კახეთის ქორეპისკოპოსი თან წაიყვანა“ (სამუშია, 2012: 105-110). ლ. თავაძის აზრით, 1010 წელს ბაგრატ III „თავდაპირველად ჰერეთის აღება დაასრულა, ხოლო შემდეგ კახეთის დაუპყრობელ ციხე-სიმაგრეთა დაკავება გააგრძელა. ბაგრატის არმიამ გენერალური შეტევა ბოჭორმის ციხეზე მიიტანა, რომელიც წლის ბოლოს აიღო კიდეც, როგორც ჩანს, კვირიკე მეფესა და მის გარემოცვასთან შეთანხმებით. კვირიკეს ხელში ჩაგდებით ბაგრატ III დიდი მთელი კახეთჰერეთის ბატონ-პატრონი შეიქმნა (თავაძე, 2022: 310). ქ.

ნადირაძე თვლის, რომ 1010 წელს ბაგრატ III-მ კახეთ-ჰერეთის შემოერთება დაასრულა (ნადირაძე, 2000: 111). ამავე თარიღს ემხრობოდა ვიქტორ გუჩუა (გუჩუა, 1997: 316).

როდის და რა ვითარებაში შემოიერთა ბაგრატ III-მ კახეთ-ჰერეთი ცხადია, მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ამჯერად ჩვენი კვლევის საკითხისთვის ეს გადამწყვეტი არ არის. ჩვენ გვაინტერესებს, მოხდა თუ არა მეფის კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ კურთხევა.

ამ მხრივ გარკვეულწილად საინტერესოა ოტონ I-ის, რომის საღვთო იმპერიის შემქმნელისა და პირველი იმპერატორის მაგალითი. ის რამდენჯერმე აკურთხეს: გერმანიის მეფედ აახენში 936 წლის 2 ივლისს, ლანგობარდების მეფედ 951 წელს და, რაც მთავარია, ბოლოს რომის საღვთო იმპერიის იმპერატორად რომში 962 წლის 2 თებერვალს.

საინტერესოა ერთი მომენტიც, ინგლისელი მემატიანე ღირსი ბედა (Beda Venerabilis) 26-ე ფსალმუნის განმარტებაში აღნიშნავდა, რომ დავით წინასწარმეტყველი სამჯერ ეკურთხა მეფედ. ერთხელ როგორც „უბრალოდ“ მეფე. მეორედ უკვე როგორც იუდეის (სამხრეთ ისრაელის) მეფე და, ბოლოს, მესამედ როგორც იერუსალიმის ანუ სრულიად იერუსალიმის მეფე (Успенский, 2000: 14).

თუ ოტო I-ისა და დავით მეფის მაგალითებს გავითვალისწინებთ, ეგებ, კახეთისა და ჰერეთის საბოლოოდ შემოერთების შემდეგ ბაგრატ III კიდევ ერთხელ ეკურთხა მეფედ, ოღონდ ამჯერად ტიტულით „აფხაზთა და ქართველთა მეფეი, ტაოჲსა და რანთა, კახთა“, როგორც ეს დაფიქსირებულია კაცხის ტაძრის წარწერაში (სილოგავა, 1980: 56). მეფედ კურთხევის რიტუალი კი, ალბათ, ქუთაისში ახლად აგებულ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის იმ ტაძარში ჩატარდა, რომელსაც ჩვენ დღეს ბაგრატის ტაძარს ვუწოდებთ.

ბაგრატ III-ის შემდეგ, ცხადია, გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ის რამდენჯერმე მეფედ კურთხევა, სავარაუდოდ, აღარ მოხდებოდა. მათ მემკვიდრეობით მიიღეს უკვე ჩამოყალიბებული სამეფოც და ტიტულიც. რაც ჩვენთვის ამ ეტაპზეა მთავარი, მათი მეფედ კურთხევა ერთხელ მოხდებოდა. ჩვენი აზრით, ქუთაისში ბაგრატის ტაძარში. გიორგი I-სა ტიტულით, „აფხაზთა და ქართველთა მეფეი, ტაოჲსა და რანთა, კახთა“ (თუმცა, ალბათ, გიორგი I-ს მეფობის დროსვე ტიტულში გარკვეული ცვლილება მოხდა. შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, კახეთჰერეთის ცალკე სამეფოდ გამოყოფისა და ბიზანტიასთან მარცხის შემდეგ, სამეფო ტიტულიდან უნდა „ამოვარდნილიყო“ ტაო, რანთა და კახთა. ჩვენი აზრით, გიორგი I-ის ტიტული ამის შემდეგ უნდა ყოფილიყო, „მეფე აფხაზთა და ქართველთა“(იხ. ბახტაძე, 2019)), ხოლო ბაგრატ IV-ისა ტიტულით, „მეფე აფხაზთა და ქართველთა“.

სიტუაცია იცვლება გიორგი II-სთან დაკავშირებით და ამის მიზეზია იმ დროს შექმნილი პოლიტიკური ვითარება. როდესაც 1054 წელს მეფე ბაგრატ IV ბიზანტიაში წავიდა, „ამისსა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს ... ვიდრეღა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატისი, გიორგი მეფედ, რაჲთა მოსცეს იგი დედამან მისმან

და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი, გურანდუხტ დედოფალი“ (მატიანე ქართლისა. 2008: 287). ანუ რუისში მეფედ კურთხევის შემდეგ რეალურად გიორგი II გახდა მამის, ბაგრატ IV-ის თანამოსაყდრე.

აქ შეიძლება საინტერესო იყოს ერთი საკითხიც, რატომ ჩატარდა 1054 წელს მეფედ კურთხევა რუისში? ქუთაისში არ ჩატარდა ალბათ იმიტომ რომ ლიპარტი ბაღვაში დასავლეთ საქართველოში მაინცდამაინც მტკიცედ ვერ გრძნობდა თავს, მიუხედავად იმისა რომ წარმომავლობით ამ მხარიდან იყო და მამულიც ქონდა კაცხში. დასავლეთ საქართველოში არ ყავდა მომხრეები და ამიტომ არ ჩაატარა მეფედ კურთხევა ქუთაისში. ეს გასაგებია, მაგრამ რატომ რუისი?

ქართლის მეფის კურთხევის ცერემონიალი, IV-VI საუკუნეებში, ალბათ სვეტიცხოველში ტარდებოდა. ნაკლებ სავარაუდო მგონია თბილისი. ერისმთავართან დაკავშირებითაც იყო ალბათ გარკვეული რიტუალი და ისიც იქ უნდა ჩატარებულიყო სადაც ქართლის მეფის კურთხევა ტარდებოდა. ეს ტრადიცია შეწყდებოდა მას შემდეგ რაც გაუქმდა ერისმთავრობა (აშოტ ბაგრატიონის ტაოში გადასვლის შემდეგ ერისმთავარი აღარავინ გამხდარა) და ქართლში ფაქტობრივად ერთპიროვნული მმართველი აღარ იყო. ქართლი, უფრო ზუსტად კი შიდა ქართლი, აქ არსებული დიდი საგვარეულოების (ტბელები, ყანჩაელები, სხვილოსნელები და სხვ.) სამფლობელოებად დანაწილდა. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატ გურგენის ძის ქართლში მმართველად დადგინებისას დავით კურაპალატმა ქართლის აზნაურები უფლისციხეში შეკრიბა და იქ წარუდგინა შვილობილი. ეს არ იყო კურთხევის ცერემონიალი, მაგრამ გარკვეული ღონისძიება მაინც იყო. ის ჩატარდა უფლისციხეში, რომელიც იყო ქართლის ერისთავის რეზიდენცია და ქართლის პოლიტიკური ცენტრი.

რატომ არ ჩაატარა ლიპარიტ ბაღვაშმა გიორგი II-ის მეფედ კურთხევა უფლისციხეში ან თუნდაც სვეტიცხოველში? პასუხის გაცემა ძნელი. ვარაუდით კი ბევრი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. იყო რუისის არჩევა შემთხვევითობა? ვფიქრობ რომ არა. ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო კონკრეტული მიზეზი რამაც ლიპარიტის არჩევანი რუსზე შეაჩერა. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს მიზეზი დღეს უცნობია.

ზოგადად მეფე კურთხევასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჩნდება. რომელი მღვდელმთავარი მონაწილეობდა 1054 წელს რუისში გიორგი უფლისწულის მეფედ კურთხევაში? სავარაუდოდ მროველი ან ეგებ შესაძლოა რომ ეს ყოფილიყო კათოლიკოს-პატრიარქი? რომელი მღვდელმთავრები მონაწილეობდნენ „აფხაზთა მეფის“ და „ქართველთა მეფის“ კურთხევის ცერემონიალში IX-X საუკუნეებში? რამდენად შეუცვლელად მოაღწია ქუთაისში აფხაზთა მეფის კურთხევის ცერემონიალმა თუნდაც 1184 წლამდე, როდესაც თამარ მეფე მეორედ აკურთხეს და რომლის შესახებაც მოგვითხრობს ქართველი მემატიანე? ალბათ ძირითადად შენარჩუნდა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა რთულია, წყაროთა სიმცირის გამო, თუმცა გარკვეული ვარაუდების გამოთქმა შესაძლებელია.

დავუბრუნდეთ თანამოსაყდრეობას, რომელიც საკმაოდ გავრცელე-

ბული იყო საქართველოს სამეფოს კარზე. ი. სურგულაძე მართებულად წერდა, „პრაქტიკულად ორმეფობის ინსტიტუტი თითქმის განუწყვეტლივ არსებობდა გიორგი II-ის დროიდან დავით ნარინამდე. გიორგი II-მ თანამოსაყდრედ გაიხადა დავით აღმაშენებელი, დავითმა დემეტრე, დემეტრემ გიორგი III, გიორგი III-მ თამარ მეფე, თამარმა ლაშა-გიორგი, რუსუდანმა დავით ნარინი“ (სურგულაძე, 1977: 73). აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ფაქტები შემდგომშიც იყო. დავით ნარინი და ვახტანგ II, ალექსანდრე დიდი და ვახტანგ III. ვ. სილოგავა აღნიშნავდა, „თანამოსაყდრეობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ იგი აუცილებლად მეფედ ყოფილიყო დასახელებული“ (სილოგავა, 2005: 206). მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვეს რ. მეტრეველმა და ჯ. სამუშიამ, რომ „ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს თანამოსაყდრე და თანამეფე“ (მეტრეველი, ჯაბა სამუშია, 2003: 61). ჩვენი აზრით, სამწუხაროდ ქართული წყაროები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწვრილებით ვისაუბროთ თანამოსაყდრისა და თანამეფის უფლებრივ განსხვავებაზე.

ჩვენი მიზანი არ არის თანამოსაყდრეობაზე საუბარი და ამჯერად ამ საკითხს აღარ განვიხილავთ. ჩვენთვის საინტერესო საკითხისთვის მნიშვნელოვანია პასუხი კითხვაზე, როდიდან აითვლიდა თანამოსაყდრე საკუთარ მეფობას? ტახტზე პირველად ასვლიდან, თუ ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან.

ჩვენ ვეთანხმებით იმ აზრს, რომ თანამოსაყდრე თავისი მეფობის ანუ ზეობის წლებს აითვლიდა ტახტზე პირველად ასვლიდან და არა ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან (ბახტაძე, 2012: 67-81). ამიტომ გიორგი II-ს საკუთარი მეფობა უნდა აეთვალა 1054 წლიდან როდესაც რუისში მეფედ აკურთხეს. თუმცა გიორგი II თავის მეფობას აითვლიდა არა 1054 წლიდან არამედ 1072 წლიდან. აქ ჩნდება კითხვა, რატომ? ჩვენთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია კითხვა, რამდენჯერ ეკურთხა მეფე გიორგი II?

ჩვენი აზრით, როდესაც ბაგრატ IV-მ გიორგი უფლისწული ქუთაისში „დაუტევა მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“, მისი ოფიციალური კურთხევა არ უნდა მომხდარიყო. გიორგი უფლისწული სამეფოს მმართველად დარჩა, თუმცა არც რაიმე ტიტული მიუღია და ცხადია არც რაიმე რიტუალი არ ჩატარებულა.

რუისში რომ ჩატარდა მეფედ კურთხევა ეს უეჭველია „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობიდან გამომდინარე. თავისთავად საინტერესოა, რომ მემატიანე პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით წერს „დაუტევა მეფედ“, ხოლო მეორედ აღნიშნავს „აკურთხეს მეფედ“.

მაშინ რატომ აითვლის გიორგი II მეფობას 1072 წლიდან. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მეფის სიგელი შიომღვიმისადმი „ქ. მე გიორგი ბაგრატუნიანმან, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა მეფემან, ძემან სულკურთხეულისა მეფისა ბაგრატისამან დავწერე და მოვაჴსენე სიგელი ესე უდაბნოსა მღუიმისასა.“ სიგელის ბოლოში წერია „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა ა, ჴელითა იოვანე მონაზონისაითა“ (შოშიაშვილი, 1980: 46, 48). სიგელის დაწერის მომენტში ბაგრატ IV გარდაცვლილია. სიგელში კი აღნიშნულია, რომ დაიწერა გიორგი II-ის მეფობის პირველ წელს, 1072 (შოშიაშვილი, 1980:46)

ან 1073 წელს (დოლიძე, 1965:10) (თუ გავითვალისწინებთ, რომ ბაგრატ IV გარდაიცვალა 24 ნოემბერს, სიგელი ალბათ უფრო 1073 წლისაა). გამოდის, რომ გიორგი II თავის მეფობას 1072 წლიდან, ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან აითვლიდა.

რატომ 1072 წლიდან და არა 1054 წლიდან? გიორგი II-ის რუისში კურთხევა არაორდინალური იყო და არც თუ სასიამოვნო ბაგრატიონტათვის. მისი კურთხევა მოხდად ფეოდალის, თანაც მამამისთან ოცი წლის მანძილზე მებრძოლი ფეოდალის ინიციატივით. უფრო მეტიც, იმ მომენტისთვის ეს ფეოდალია, ლიპარიტ IV ბაღვაში, ფაქტობრივად გამარჯვებული იყო. ყოველივე ეს კი გიორგი უფლისწულის მეფედ კურთხევას, ალბათ, სულ სხვა ელფერს სძენდა და შორს იყო ზეიმისა და სიხარულისგან. სრულიად ბუნებრივია, რომ გიორგი II-ს (შესაძლოა ბაგრატ IV-საც) არ სიამოვნებდა მეფედ კურთხევის ამ ცერემონიალის გახსენება და ცდილობდა დაევიწ-ყებინა. ცდილობდა დაევიწყებინა არა მხოლოდ თავად, არამედ უნდა „დაევიწყებინა“ საზოგადოებასაც, ფეოდალურ ელიტას პირველ რიგ-ში. შესაძლოა ეს უფრო მნიშვნელოვანიც კი იყო. თუ მეფე საკუთარი მმართველობის დაწყებას რუისში კურთხევას დაუკავშირებდა, ამ ამბავს ვერავინ „დაივიწყებდა“ და სამუდამოდ დარჩებოდა. საჭირო იყო ამ ამბის „გადაფარვა“. საჭირო იყო ხელახლა მეფედ კურთხევა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ 1072 წელს ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემ-დეგ გიორგი II ხელახლა უნდა ეკურთხებინათ მეფედ ქუთაისში, კვლავ ბაგრატის ტაძარში. ამიერიდან ყველგან აღინიშნებოდა, რომ გიორგი II, მეფე აფხაზთა და ქართველთა ეკურთხა 1072 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ და არა 1054 წელს ლიპარტი ბაღვაშის ინიციატივით. 1072 წლის კურთხევა გადაფარავდა 1054 წლის კურთხევას.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, როდესაც ვსაუბრობთ მეფედ კურთხევაზე, ვგულისხმობთ გარკვეულ რიტუალს, რომელიც ამ დროს ტარდებოდა. რა სახის იყო ეს რიტუალი, ორივეჯერ ერთნაირი იყო თუ რა (ალბათ არა. მეო-რე ანუ ერთპიროვნული მმართველობის დაწყებისას უფრო საზეიმო და აღმატებული იქნებოდა), მირონის ცხება ხდებოდა თუ არა და თუ კი როდის (ჩვენი აზრით, მირონის ცხება საქართველოში XIII საუკუნის დასაწყისში უნდა შემოსულიყო და პირველი მირონცხებული შესაძლოა გიორგი IV იყო.) ეს საკითხები ამჯერად ჩვენი კვლევის ფარგლებს სცილდება.

აქვე აღვნიშნავთ, ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებასაც, რომ სწორედ გიორგი II-ის 1072 წელს ქუთაისში ხელმეორედ მეფედ კურთხე-ვიდან ჩაეყარა საფუძველი ორჯერ მეფედ კურთხევის ტრადიციას (ბახტაძე, 2022: 22-30), რაც აშკარად ჩანს დემეტრე I-ის და თამარ მეფის ცხოვრებაში. ჩვენი აზრით, ორჯერ უნდა მომხდარიყო ასევე: დავით IV-ს, გიორგი IV-ს და გიორგი V-ს კურთხევაც.

დასკვნა

მეფე ბაგრატ III-ის მიერ რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის გაერთიანებამ და ერთიანი მონარქიის შექმნამ განაპირობა, რომ ის სამჯერ ეკურთხა მეფედ. მის მემკვიდრეებში ასეთი საჭიროება აღარ იყო, თუმცა გიორგი II სახელმწიფოში არსებული ვითარების გამო ორჯერ ეკურთხა მე-ფედ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

bakhtadze, M. (2012). XI-XV saukuneebshi qartvelt mefeta zeobis atvlis shesxeb. *ivane javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmtsifo universitetis saqartvelos istoriis institutis shromebi.* V. tbilisi. (ბახტაძე, მ. (2012). XI-XV საუკუნეებში ქართველ მეფეთა ზეობის ათვლის შესახებ. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები* V. თბილისი.)

bakhtadze, M. (2019). ertiani saqartvelos mefeta qartuli titulaturistvis XI saukuneshi. *goris sakhelmtsifo sastsavlo universitetis shromebi* №17-1. gori. (ბახტაძე, მ. (2019). ერთიანი საქართველოს მეფეთა ქართული ტიტულატურისთვის XI საუკუნეში. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომები,* №17-1 გორი.)

bakhtadze, M. (2022). Khelmeored mefed kurtkhevis shesakheb. *mariam lortqipanidzis sakhelobis qartvelologiuri sametsniero kitkhvani*. tbilisi. (ბახტაძე, მ. (2022). ხელმეორედ მეფედ კურთხევის შესახებ. *მარიამ ლორთქიფანიძის სახელობის ქართველოლოგიური სამეცნიერო კითხვანი.* თბილისი.)

berdzenishvili, N. (1967). mtskhetis sabuti XI saukunis. *saqartvelos istoriis sakitkhebi*, t. IV. tbilisi (ბერძენიშვილი, ნ. (1967). მცხეთის საბუთი XI საუკუნის. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. IV თბილისი.)

guchua, v. (1997). bagrat III, *entsiklopedia saqartvelo*. tbilisi. (გუჩუა, ვ. (1997). ბაგრატ III, *ენციკლოპედია „საქართველო“.* თბილისი.)

tavadze, l. (2022). qorepiskoposi da mefe. tbilisi. (თავაძე, ლ. (2022). ქორეპისკოპოსი და მეფე. თბილისი.

lortqifanidze, m. (1973). saqartvelos shinapolitikuri da sagareo vitareba X s. 80-ian da XI s 80-ian tslebamde, *saqartvelos istoriis narkvevebi,* t. III, tbilisi. (ლორთქიფანიძე, მ. (1973). საქართველო შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI 80-იან წლებამდე, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბილისი.)

metreveli, r. samushia, j. (2003) *mefet mefe giorgi II*. tbilisi. (მეტრეველი, რ. ჯაბა სამუშია, ჯ. (2003) *მეფეთ მეფე გიორგი II*, თბილისი.)

nadiradze, q. (2000). bagrat III, *saqartvelos mefeebi*. tbilisi. (ნადირაძე, ქ. (2000). ბაგრატ III, *საქართველოს მეფეები.* თბილისი.)

papuashvili, t. (1982). *ranta da kakhta samefo.* tbilisi. (პაპუაშვილი, თ. (1982). *რანთა და კახთა სამეფო.* თბილისი.)

samushia, j. (2012) *bagrat III.* tbilisi. (სამუშია, ჯ. (2012). *ბაგრატ III.* თბილისი.) stefnadze, j. (1976). XI-XII saukuneebis saqartvelos mefeta titulebis gagebistvis. dziebani saqartvelosa da kavkasiis istoriidan. tbilisi. (სტეფნაძე, ჯ. (1976). XIXII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისთვის. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბილისი.)

silogava, v. (1980). kartuli tsartserebis korpusi, lapidaruli tsartserebi. t. 2. dasavlet saqartvelos tsartserebi nakv. 1. tbilisi. (სილოგავა, ვ. (1980). ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. ტ.2. დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ.1. თბილისი.)

silogava, v. bagrationta samefo saxlis erti saagape tsartsera-dadgenileba. ivane javakhishvilis tbilisis sakhelmtsipo universitetis shromebi №359. tbilisi. (სილოგავა, ვ. (2005). ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთი სააღაპე წარწერა-დადგენილება. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები №359. თბილსის.)

surguladze, i. (1977). *saxelmtsiposa da samartlis sakitxebi* „vepkhistkaosnis“ mikhedvit. tbilisi. (სურგულაძე, ი. (1977). *სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები* „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით. თბილისი.)

shoshiashvili, n. (1980). lapidaruli tsartserebi. I. aghmosavlet da samkhret sakartvelo (V-X). tbilisi. (შოშიაშვილი, ნ. (1980). ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). თბილისი.)

matiane qartlisa (2008). *qartlis tskhovreba.* mtavari redaqtori roin metreveli. tbilisi. (მატიანე ქართლისა. (2008). *ქართლის ცხოვრება.* მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი. თბილისი.)

Uspenski, B. (2000). Tsar i imperator (pomazanie na Tsarstvo i Semantika Monarshikh Titulov). *Iazik, Semiotika, Kultura.* Moskva. Успенский, Б. (2000). Царь и Император (Помазание На Царство и Семантика Монарших Титулов). *Язык, Семиотика, Култура.* Москва 2000.